ანდრო ბაბუაძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები

,,Erasmus+ გაცვლითი პროგრამა ნიდერლანდებში ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოცდილებაა. ეს იყო არა მხოლოდ ახალი გარემოს აღმოჩენა, არამედ სიღრმისეული ცოდნისა და ინტელექტუალური ზრდის შესაძლებლობა. შევიძინე სხვადასხვა ეროვნების მეგობარი, რამაც თავისთავად ბევრი რამ მასწავლა მათ სამშობლოზე და კულტურაზე. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კავკასიის უნივერსიტეტს რომ ეს შესაძლებლობა მომცა.

ერთ-ერთი მთავარი დასამახსოვრებელი ადგილი არის Inholland-ის უნივერსიტეტი, სადაც მასწავლებლები და თანამშრომლები ყოველთვის მზად იყვნენ დახმარებისთვის და ხელშეწყობისთვის, გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით. Inholland-ის გარემო იდეალური იყო სწავლისთვის, როგორც აკადემიური, ასევე სოციალური კუთხით.

ჰოლანდია განსაკუთრებული ქვეყანაა, ულამაზესი ქალაქებით და მეგობრული ხალხით. დავტკბი ქვეყნის გარემოთი, ვესტუმრე ცნობილ ადგილებს და რაც მთავარია ვიგრძენი დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა საკუთარ თავთან. ვურჩევ ყველას, ვისაც შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს Erasmus+ პროგრამებში.’’